საქართველოს მუშარეს ჩე | ოლ.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონ.
4 „ 1 მ. —

№ 632 ოთხშაბათი, ნოემბრის 28, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 500,000

## უსაზღვრო თავხედობა

რეაქციის თავხედობა უსაზღვროებას აღწევს. გერმანეთის კომპარტიას დაშლილად აცხადებს გენერალი სექტა თავის განკარგულებით (sic!).

„ფორვერტს“ ამართლებს სექტას მოქმედებას, რადგან კომუნისტები ამზადებენ სახელმწიფოებრივ გადატრიალებასო.

ეს ფაქტი საინტერესოა ორი მხრივ—უფლებრივად, იურიდიულად და პოლიტიკურად, რეალურად.

ბურჟუაზიული წრეები, მოქმედობენ ყოველგვარი წესების გარეშე. პარტიას შლიან განკარგულებით.

სექტას განკარგულება თურმე საკმაოა იმისათვის, რომ პარტია დაიშალოს.

ეს არის უაღრესობა ყოველგვარ ფორმალურ—იურიდიულ წესების დარღვევისა. პარტიის დაშლა ბრძანებით, მისი მოსპობა დეკრეტით ეს იურიდიულად ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა, ხოლო ფაქტიურად დიდი აბსურდი.

როდესაც პარტიის უზენაესი ორგანო—ყრილობა, ან უკიდურეს შემთხვევაში პარტიის ცენტრალი კომიტეტი პარტიას დაშლილად აცხადებს—ეს გასაგებია. ისიც გასაგებია, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება პარტიას უსპობს ლეგალურად არსებობის საშუალებას, აცხადებს მას კანონს გარეშე, მაგრამ უჩვეულო, უმაგალითო და ჯერ არ ყოფილი მოვლენაა, როდესაც დეკრეტს, ან განკარგულებას სცემენ და ამით პოლიტიკურ პარტიას დაშლილად აცხადებენ.

ასეთი პოლიტიკური სიბრძნე მხოლოდ სექტის პოლიტიკურ არსენალში შეიძლებოდა ყოფილიყო და ისიც არ დაერიდა ამ სიბრძნის გამომზეურებას.

აქ საინტერესო ისიც არის, რომ მენშევიკებმაც, როგორც ყოველთვის აქაც გამოიჩინეს თავისი მოღალატური ბუნება. ისინი ემხრობიან ამ განკარგულებას. სურთ კომპარტიის დევნის გაძლიერება.

მაგრამ რეალურად რა შედეგი მოჰყვა ამ განკარგულებას, კომპარტიის „დაშლას“? ეს შედეგი გამოიხატა მასში, რომ კომპარტიის წევრმა რეიხსტაგში ამ „გაუქმებული“ პარტიის სახელით რევოლიუციონური სიტყვა სთქვა, ამავე „გაუქმებულმა“ პარტიამ არალეგალური გაზეთი გამოსცა.

რას გვეუბნება ეს ფაქტები? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ კომპარტია უკვე საშიშია, მას უკვე შესწევს ძალა პოლიტიკურ ძალა—უფლებისათვის გამართულ ბრძოლაში აქტიური გამოსვლების და შეიძლება გადამწყვეტი როლის შესრულებისა. ამას გრძნობს ბურჟუაზია, იგი იძულებული ხდება ელემენტარი, საანბანო დებულებებიც უარყოს და ყოველი საშუალება მიმართოს კომპარტიის წინააღმდეგ, რომ მისი გავლენა დასცეს, იგი გაანადგუროს.

რეაქციის უსაზღვრო გათავხედება და უკიდურესი ზომები ილიუსტრაციაა რევოლიუციონური ძალის სიძლიერის, მისი გავლენის გაფართოების.

მეორე მხრივ კომპარტიის არალეგალურად ამუშავება, მისი მწყობრი, ორგანიზაციული ძალისა და სიმტკიცის მომასწავებელია. პარტიას გაუნადგურეს რედაქცია, დაარბიეს იგი, მაგრამ მაშინვე ამ „გაუქმებულმა“ პარტიამ ახალი გაზეთი გამოსცა, „რევოლიუციის დროშამ“ თავისი ხმა მიაწოდა გერმანიის მუშებს.

ეს იმის მომასწავებელია, რომ კომპარტიის გაუქმების ცდა ძვირად დაუჯდება ბურჟუაზიას და სოციალური კონფლიქტები, რომლის შედეგიც არის სექტას განკარგულებაც გაუქმებას უქადის უპირველესად იმ ძალას, რომელიც ვამაუქმებელ დადგენილებებსა და ბრძანებას ხელს აწერს.

ახლო მომავალი დაგვანახებს თუ რა სახეს მიიღებს კომპარტიის მუშაობა. ერთი ამ თავითვე აშკარაა. გერმანეთის კომპარტია ახლად ფეხ ადგმული სათუთი ორგანიზაცია აღარ არის. მან მრავალი დევნა და საფრთხე გადაიტანა და იგი გენერალ სექტის ბრძანებასაც გადიტანს.

## პარტიის ამოცანების შესახებ

(გამოძახილი ამხ. ზინოვიევის წერილზე „პარტიის ახალი ამოცანები“)

მეტათ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამხ. ზინოვიევის ზევით დასახელებული წერილი (იხ. გაზ. „Правда“ № 253, 7 ნოემბრის ნომერი), რომელსაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესი აქვს, ჩვენში დღემდის თითქმის სრულიად უყურადღებოთ დარჩენილა და ეს იმ დროს, როცა ბევრათ უფრო ნაკლები ყურადღების ღირს წერილებს, სტატიებს და შენიშვნებს უთმობენ ადგილს გაზეთებში. ამხ. ზინოვიევის წერილში საყურადღებო და საგულისხმიეროა ის, რომ იქ ავტორი კვლავ უბრუნდება და აყენებს ჩვენი პარტიის წინაშე ზოგიერთ ძველ **ამოცანებს**, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ იმათ შესახებ ჩვენ გვაქვს პარტიულ ყრილობის კატეგორიული დადგენილებები, დღემდის ისევ გადაუჭრელი დარჩენ, ვინაიდან არ იქნა და არა, რომ ეს დადგენილებები ცხოვრებაში გატარებულიყვნენ.

ახლა ამხ. ზინოვიევი კვლავ იგონებს ამ ძველ ამოცანებს და მოუწოდებს ამხანაგებს გამოთქვან იმათ შესახებ თავიანთი აზრი და შეხედულება. თავის მხრით, პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“, სადაც მოთავსებულია ამხ. ზინოვიევის წერილი აყენებს რა ყველა იქ აღძრულ საკითხებს სადისკუსიოთ, **ენერგიულათ** (усиленно) მოუწოდებს ამხანაგებს მიიღონ **აქტიური მონაწილეობა** ამ დისკუსიაში. ამ მხრით ცენტრალური ორგანო მიდის კიდევ უფრო შორს და დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებათ მოუწოდებს **უპარტიო** მუშებსაც, ყველაფერიდან სჩანს, რომ ამ შემთხვევაში სადისკუსიოთ გამოტანილია მეტათ არსებითი და მეტათ საყურადღებო საკითხები, რომელთაც ვერც ერთი პარტიული ამხანაგი, ვერც ერთი შეგნებული მუშა ან გლეხი გვერდს ვერ აუვლის.

აქედან თავის თავათ იგულისხმება, რომ თავდაპირველათ თვით ამხ. ზინოვიევის წერილი უნდა გახდეს როგორც პარტიული მასის, ისე ყველა შეგნებულ მუშებისა და გლეხებისთვის ხელმისაწვდომი, რისთვისაც ის დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადათარგმნილი ყველა ადგილობრივ ენებზე და დაბეჭდილი ყველა გაზეთებში. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ყველა ადგილობრივ გაზეთებში უნდა გადმობეჭდილ იქნენ ზოგიერთი უფრო საყურადღებო წერილები და რეზოლიუციები, რომლებიც ამ საგანზე დაიბეჭდენ, თუ დაიბეჭდებიან მომავალში გაზ. „პრავდა“-ში, რა თქმა უნდა გარდა იმ წერილებისა და რეზოლიუციებისა, რომელთაც მხოლოდ ვიწრო ადგილობრივი ხასიათი ექნებათ. თავის თავათ იგულისხმება რომ ადგილობრივათ ამ დისკუსიამ რაც შეიძლება ფართო ხასიათი უნდა მიიღოს, რათა საბოლოოდ გამორკვეულ იქნენ ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც დღეს ისევ მწვავეთ წარმოიშვენ. სწორეთ ასეთი ხასიათი ეძლევა დღეს ამ დისკუსიას რუსეთში. ამიტომ ჩემ გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 20 ნოემბერის ნომერში (267) მე წავიკითხე ამხ. **რუბენის** წერილი სათაურით „**პარტიის ახალი ამოცანების საკითხის შესახებ**“ („К опросу по новых задачах партии“). ავტორი იხსენიებს ამხ. ზინოვიევის დასახელებულ წერილს; მისი სიტყვით, ზინოვიევს დაუდასტურებია იქ მხოლოდ შემდეგი ფაქტები: 1) პროლეტარიატის შემადგენლობა გაუმჯობესდა; 2) უპარტიო საშუალო მუშის კულტურული დონე მაღლა აიწია; 3) პარტიული მუშების რაოდენობამ იმატა; 4) არის შემთხვევები, როცა უპარტიო მუშები კულტურულათ მაღლა დგანან პარტიულ მუშებთან შედარებით; 5) პოლიტიურათ კი პარტიული მუშები ყოველთვის სჯობნიან უპარტიო მუშათა მასას; 6) კულტურულათ გაზრდილ უპარტიო მუშას სურს მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა სამეურნეო ცხოვრებაში. ესაა და ეს ყოველივე ის, რაც ამხ. რუბენის გადმოცემით უთქვამს ამხ. ზინოვიევს თავის წერილში.

ვინც კი ამხ ზინოვიევის წერილს წაიკითხავს, იგი დარწმუნდება იმაში, რომ ამხ. რუბენს სრულებით უყურადღებოდ დაუტოვებია სწორედ ის, რაც ყველაზე უფრო საყურადღებო იყო და არის ამხ. ზინოვიევის წერილში.

დავიწყოთ ჯერ გარეგანი მხრიდან. როგორც ამხ. ზინოვიევი, ისე თვით ცენტრ. ორგანო—„პრავდა“—პარტიის შიგნით წამოჭრილ საკითხებს სადისკუსიოთ აყენებენ და ამასთანავე ენერგიულათ მოუწოდებენ ყველა ამხანაგებს გამოსთქვან ამათ შესახებ თავიანთი აზრი. განა შეიძლება ზინოვიევის წერილი და „პრავდა-“ს რედაქციის შენიშვნა წაიკითხო, და ამის შესახებ კრინტიც არ დაძრა? ჩვენის აზრით, ეს შეუძლებელია, მაგრამ ამხ. რუბენი, არ ვიცი რა მოსაზრებით, სრულებით არ თვლის საჭიროთ გააცნოს ეს მკითხველებს.

რაც შეეხება ამხ. ზინოვიევის თვით წერილის შინაარსს და იმ კითხვებს, რომლებიც იქ აღძრულია, ყოველსავე ამას ამხ. რუბენი აფუჩეჩებს და ხელს აფარებს.

ასე, მაგ., ამხ. ზინოვიევი თავის წერილში ამბობს, რომ „უკანასკნელ დროს პარტიაში ჩვენ ვამჩნევთ ზედმეტ სიწყნარეს (чрезмерный штиль), ზოგან პირდაპირ კრიზისს“ (застой). შემდეგ აღნიშნავს რა უპარტიო საშუალო მუშის კულტურულ ზრდას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზოგ შემთხვევაში იგი კიდევაც სჯობნის პარტიულ მუშას, ზინოვიევი დასძენს: „უპარტიო მუშების ფართო წრეების კულტურულ დონეს მაღლა აწევა შეიქნება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უდიდესი ძლიერების წყაროთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენ **თავის დროზე ანგარიშს გავუწევთ ამ უაღრესად საყურადღებო მოვლენას და შევძლებთ მისგან საორგანიზაციო დასკვნების გაკეთებას.** წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი შეიძლება გახდეს წყაროთ ბევრ გაუმჯობესებათა ჩვენსა და უპარტიო მუშებს შორის და **შეუძლია შექმნას ჩვენთვის, რამდენათაც ეს გაუგებარი არ იყოს პირველი შეხედვით, უდიდესი სიძნელენიო**“ (ხაზი ჩვენია. ფ. მ.)

მიუხედავათ იმისა, მართალია თუ არა ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებული ფაქტი—უპარტიო მუშათა მასის და პარტიულ მუშების განსხვავება კულტურულათ,—აქ აღძრულია მეტათ საყურადღებო საკითხი, მთელი პრობლემა, რომლის სისწორით გადაჭრას ჩვენთვის საარსებო, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პარტიის ვერც ერთი წევრი ვერც ერთი შეგნებული მუშა ან გლეხი, რომელიც დაინტერესებულია მუშურ გლეხური ხელისუფლების შენარჩუნებაში, გულგრილათ ვერ აუვლის გვერდს ასეთ საკითხებს. სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ამხ. რუბენი. პარტიული მასის უილაჯობის, უხალისობის, უსიცოცხლობის და ინტერესების გამოჩენის დასუსტების დასახასიათებლათ ამხ. ზინოვიევს მოყავს შემდეგი სიტყვები ერთი პასუხისმგებელი ამხანაგისა, რომელიც სამეურნეო დარგში მუშაობს. აი რა უთქვამს ამ უკანასკნელს ამხ. ზინოვიევისთვის: „როცა მე მივდივარ მოხსენების გასაკეთებლათ **სამეურნეო მუშაობაზე პარტუჯრედის წევრების კრებაზე, მე მივდივარ თითქმის მოუმზადებლათ.** როცა კი მე მიხდება ასეთი მოხსენების გაკეთება **უპარტიოთა კრებაზე ან კონფერენციაზე**, მე **ენერგიულათ ვემზადები**, ვინაიდან მე ვიცი, რომ იქ მე მომცემენ შეკითხვებს, რომ თითოეული წინადადების დაცვა მე უნდა შევძლო, რომ **აქ კრიტიკა იქნება სერიოზული**“ და სხვ. მართალია თუ არა ეს ფაქტი? თუ მართალია, ნორმალურათ უნდა ჩაითვალოს ის თუ არა? და რით, ან რა მიზეზითაა გამოწვეული ასეთი ფაქტები? ამხ. რუბენი სდუმს ამის შესახებ, თითქო ასეთი საკითხი არც კი დაეყენებიოს ამხ. ზინოვიევს თავის წერილში. რაც შეეხება ამხ. ზინოვიევს, იგი ასეთ მდგომარეობას გადაჭრით სცნობს არანორმალურათ.

იგი ამბობს: „რომ რამდენიმეთ დამაკმაყოფილებლათ გადავსჭრათ ზევით ნაჩვენები ამოცანები, რომ ღირსეულათ შევხვდეთ იმ საერთაშორისო ამბებს, რომლებიც ახლა მუდამ ჩვენ ყურადღებას იპყრობენ, საჭიროა, რომ პარტიის შიგნით ცხოვრება უფრო ინტენსიური შეიქნეს, საჭიროა, რომ **პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატიამ**, რომლის შესახებ ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობდით, **უფრო მეტათ შეისხას სისხლი და ხორცი**“ (ხაზი თვითონ ამხ. ზინოვიევს ეკუთვნის ფ. მ.). მეორე ადგილას ამხ. ზინოვიევი კიდევ უფრო გადაჭრით ამბობს, რომ „აუცილებლათ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატია (рабочая демократия), გავაძლიეროთ პარტიაში თავისუფალი დისკუსია პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვ. საკითხების ირგვლივ და სხვა. და ამიტომაც ერთი იმ ღონისძიებათაგანი, რომლებზედაც ამხ. ზინოვიევი ჩვენ გვითითებს, მდგომარეობს შემდეგში: „**სრულიად მკვეხარა სიტყვების გარეშე მუშათა დემოკრატიის პრინციპების ხელუხლებლობის შესახებ, აუცილებლათ საჭიროა პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატიის გამოყენება საქმით—პარტიაში თავისუფალი დისკუსიის გაძლიერება პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა კითხვებზე.** განსაკუთრებით ჩვენი პარტიის იმ წევრების ყურადღების მიპყრობა ამ კითხვებზე, რომლებიც პარტიის ქვედა ფენებს წარმოადგენენო“.

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თუ ამხ. ზინოვიევი პარტიის ცენტრალურ ორგანოში ასე აყენებს საკითხს, ალბათ სწორეთ ამ მუშათა დემოკრატიას ჩვენ პარტიაში ადგილი დღემდის არ აქვს. ამასთანავე აქედან აშკარათ ჩანს ისიც, რომ ჩამოვარდნილი არანორმალური მდგომარეობის გასაბათილებლათ, იგი აუცილებლათ თვლის უწინარეს ყოვლისა მუშათა დემოკრატიის განხორციელებას პარტიის შიგნით. ასევე ეხებიან და არკვევენ ამ საკითხს ყველა ის ამხანაგები რომლებიც დღემდის გამოეხმაურენ ამხ. ზინოვიევის წერილის და გაზ. „პრავდა“-ს მოწოდებას. და განა სხვანაირათ შეიძლებოდა?

მაგრამ, როგორც ზევით ჩვენ ვთქვით, ასე არ მოიქცა ამხ. რუბენი, რომელსაც განუზრახავს ამხ. ზინოვიევის წერილის გაცნობა ჩვენი მკითხველებისთვის.

ამხ. რუბენი მთელ ყურადღებას აჩერებს მხოლოდ შედარებით მეორე ხარისხოვან გარემოებაზე, ე. ი. პარტიის წევრების **რაოდენობითი ზრდაზე**; ამას იგი ვერ შორდება; სხვა საკითხი მისთვის არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო გადამახინჯებაა ამხ. ზინოვიევის წერილის, რაც უფრო საყურადღებოა, ესაა თვით პარტიის არსებით ამოცანების მიფუჩეჩება. ამას უნდა ჰქონდეს ბოლო. პარტიის თითოეულმა წევრმა, თითოეულმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს რა ხდება პარტიაში, და ცხოველი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მის ცხოვრებაში. უამისოთ ხომ პარტია არა თუ წინ ვერ გაუძღვება გართულებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებას, არამედ უკან ჩამორჩება მას, რა მდგომარეობასაც ითვალისწინებს თავის წერილში ამხ. ზინოვიევი.

ფ. მახარაძე.

## მუშა-მწერალი გიგო ხეჩუაშვილი

(მისი 25 წლის იუბილეს გამო)

„ქვაზე გავლესე კბილები,
მტერს ვექადნები კბენასა,
ძლ-მომრეობას ვუძრახი
ვინც ცდილობს სუსტის წყენასა,
კეთილისათვის თავს დავდებ,
დავიწყებ ალმაფრენასა,
ეს მოუცია ღირსებად
ჩემთვის მაღალსა ზენასა“.

გ. ხეჩუაშვილი.

იყო დრო, როდესაც სკოლის კარები დახშული იყო მშრომელი ხალხისათვის, მას საშუალება არ ჰქონდა სწავლა-განათლების მისაღებად, მაგრამ ამ სკოლებს დაშორებულ მშრომელ ხალხში ისე ძლიერი იყო თანდაყოლილი ნიჭი და უნარი სწავლისადმი, რომ უსწავლელი მუშა თავის შინაურული ცოდნით მაინც ახერხებდა იმის გადმოცემას, რაც მას აწუხებდა.

ერთი ასეთი მუშათაგანი არის მუშა ასოთამწყობი გიგო ხეჩუაშვილი.

ვინ არის გიგო ხეჩუაშვილი?

ეს სახელი შეიძლება ბევრისათვის გაუგებარი იყვეს, რადგან მუშა-მწერალი გიგო ხეჩუაშვილი მუშათა წრიდან არის გამოსული და როგორც ასეთი ბევრისათვის დიდ „ავტორიტეტიულ“ პიროვნებას არ წარმოადგენდეს, როგორც „უდიპლომო“, მაგრამ, როგორც მშრომელი კლასის შვილი, ღარიბღატაკი ოჯახიდან გამოსული, რომელსაც წერა-კითხვა სიპ ქვებზე და ქაღალდის ნაგლეჯებზე უსწავლია, დიდი ყურადღების ღირსია მშრომელი კლასისთვის.

იმ დროს, როდესაც საქართველოში იდევნებოდა მშობლიურ ენაზე სწავლა-ცოდნის მიღება და თვითმპყრობელობა ყოველნაირ ზომებს ხმარობდა, რომ ჩახშო ჩვენ ხალხში გათვითცნობიერება და მშრომელი ხალხის უმრავლესობა უვიცობის ბურუსში ყოფილიყო გახვეული, ეს მან ვერ შესძლო, რადგან ძლიერი აღმოჩნდა სურვილი წინმსვლელობისა და გათვითცნობიერებისაკენ.

მუშათა წრიდანაც აღმოჩნდნენ მრავალი პირები, რომელთაც აწუხებდათ უკუღმართი წეს-წყობილება, რომელიც მიმართული იყო მცირე ერების დამონავებისა და მშრომელი ხალხის დასაჩაგრავად.

ყოველ შეგნებულ მუშის ინტერესს წარმოადგენდა კლასობრივი განთავისუფლება, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო და შედეგი ეროვნული თავისუფლებისა და ეს იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი იქნებოდა ყოველი დაჩაგრული ერის შვილი თვითმპყრობელურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოსაგან.

აი ასეთი აზრები ასულდგმულებდა და ასულდგმულებს დღესაც მუშა-მწერალს გიგო ხეჩუაშვილს, რომელიც 25 წლის განმავლობაში ფიზიკურ შრომასთან ერთად მუშური კალმითაც ეწევა შრომას და შეაქვს გათვითცნობიერება თავის ამხანაგ მუშებში.

„ცხოვრებისგან გატანჯული,
მისთვის ველი გაზაფხულსა,
რომ ჩაგრულთა სანუგეშოდ
უაღერსო სულსა, გულსა“.

სწერს მუშა-მგოსანი ერთ თავის ლექსში 1914 წელს, რომელმაც თითქოს იწინასწარმეტყველა, რომ 1914 წელს დაწყებულ იმპერიალისტურ ომს უსათუოდ თვითმპყრობელობის დამხობა და გაზაფხული უნდა მოჰყოლოდა, რომ გამარჯვებულ პროლეტარიატს წითელი დროშა აეფრიალებინა თვითმპყრობელობის ნანგრევებზე.

ეს წადილი გაუმართლდა მუშა-მწერალს. დღეს თავისუფალია საქართველო თვითმპყრობელობისა-

გან და მას მუშურ-გლეხური ხელისუფლება განაგებს, რომლის ერთ-ერთი წევრთაგანი‚ა თვით მუშა-პოეტი.

გიგოს ღირსება იმაში გამოიხატება, რომ თითქმის უპატრონომ, ყველასაგან მიტოვებულმა შესძლო სწორი გზის გამონახვა და იმ უფსკრულში არ გადიჩეხა, რომლის მსხვერპლი გამხდარა მრავალი გზა-კვალ აბნეული უპატრონო ღარიბ-ღატაკი ოჯახის შვილი.

გიგომ უქმად არ დალუპა თავის თანდაყოლილი ნიჭი, განავითარა შინაურული ცოდნით და თავისი წვლილი შეიტანა მუშათა მწერლობაში.

აქ ზედმეტად არ მიმაჩნია მოკლედ გავაცნო მკითხველთ მუშა მწერლის ბიოგრაფიული ცნობები, რომ ნათლად წარმოიდგინონ ის გარემოება თუ რა პირობებში აღიზარდა.

გიგო ხეჩუაშვილი დაიბადა 1879 წელს გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში. მისი მამა უადგილ-მამულო გლეხი იყო და მუდამ სიღარიბეში მყოფს ფიქრადაც არ მოსვლია შვილის სასწავლებელში მიცემა.

ათი შვილის მამას შვიდი დაემარხა და ორი ქალი და ერთი ვაჟი შერჩენოდა. გიგოს დედა შვილების მწუხარებით, წვრილშვილობით და აუტანელ სიღარიბით დაავადმყოფებულიყო და სულ ლოგინში იწვა.

ექვსი წლის გიგო სამი წლით უფროსი იყო დებზე. ავადმყოფი დედა და პატარა ბავშვები თითქმის მისი მოსავლელები იყვნენ.

დედის მეცადინეობით, როდესაც გიგო შვიდი წლისა შესრულდა სოფლის სკოლაში მიიყვანეს სასწავლებლად, მაგრამ ჯერ ან-ბანიც არ ესწავლა, რომ იმავე ზამთარს გამოიყვანა მამამ სკოლიდან და თავის ბატონს მიხეილ გეგენის ძე თარხნიშვილს მიჰგვარა მსახურად.

თავად თარხნიშვილს ერთი პირუტყული ჩვეულება ჰქონდა. როდესაც მისი „ბრწყინვალება“ ქვეშაგებში განისვენებდა ფეხები უნდა ეფხანათ, რომ დასძინებოდა.

აი სწორედ ამ ხელობისათვის უნდოდა თავადს პატარა გიგოც.

პირველად აქედან დაიწყო მისი მოჯამაგირობა. შვიდი წლიდან თოთხმეტ წლამდე გიგო ბატონს ემსახურებოდა, ფეხსაცმელებს უწმენდავდა, ჭურჭელს ურეცხდა და ოთახების იატაკებს სწმენდდა.

ერთხელ, როდესაც ოთახებს ალაგებდა გიგო ორ ქართულ წიგნს მიაგნო: „ვეფხის-ტყაოსანს“ და „ყარამანიანს“. ამ წიგნებმა ისე დააინტერესეს ყმაწვილი, რომ მიეჩვია კითხვას და 12 წლისა თითქმის ორივე წიგნი ზეპირად იცოდა.

თოთხმეტი წლის გიგომ მიატოვა ბატონის სამსახური და მანგლისში წავიდა ლუკმა პურის საძებრად. იქ ერთ მედუქნეს დაუდგა მოჯამაგირედ. ამ დროს მას ჩაუვარდა ხელში ანტონ ფურცელაძის ნაშრომი: „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად“. გიგო გაიტაცა ამ წიგნში აწერილმა გიორგი სააკაძის ცხოვრებამ და თექვსმეტი წლისამ ვრცელი პოემა უძღვნა გიორგი სააკაძეს.

მანგლისში ვაჭრობას ვერ შეეთვისა გიგო და ისევ სოფელს დაუბრუნდა. მას ხელობის შესწავლა უნდოდა, მაგრამ დრო გადასული ჰქონდა და ოჯახური გარემოებაც ამის ნებას არ აძლევდა, რადგან მთელი ოჯახი მისგან მოელოდა შველა-პატრონობას.

მან გადასწყვიტა ტფილისში წასვლა და ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანა. შეუხტა ტივზე და ტფილისში პირველად ტივით ჩამოვიდა.

ტფილისში ვხედავთ მას ხან შეშის საწყობში, ხან ცხენების მომვლელად, ხან დღიურ მუშად, ხან ოჯახებში მსახურად.

ბოლოს, 24 წლის გიგომ, თითქოს მიაგნო შესაფერ ხელობას, შევიდა სტამბაში ასოთ-ამწყობად და მას აქეთ დღემდის აქ იწევა შრომის ჰაპანს.

გიგო 14 წლისა იქნებოდა, რომ ლექსებისა და მოთხრობების წერა დაიწყო, მაგრამ რადგანაც გზა-კვალი არ იცოდა სად უნდა დაებეჭდა, ამისათვის დაგვიანებით მოუხდა მის ნაწერს დღის სინათლეზე გამოსვლა.

მას მრავალი ნაწერები აქვს, როგორც ლექსები ისე მოთხრობები, პიესები.

ამისათვის სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს უსწავლელი მუშისთვის ასეთი ღვაწლი და სწორედ ღირსია პატივი ვსცეთ მუშებმა ჩვენ ამხანაგ მუშა-მგოსანს და გადაუხადოთ ღირსეული იუბილე 25 წლის შრომისთვის

დვანელი გლეხი.

## შრომა

### აჭარისტანის სოფელი.

ბათომის გაზეთი „ბრძოლა“ (№ 183) მოწინავე წერილში აღნიშნულ სათაურით სწერს:

თანამედროვე აჭარისტანის სოფელი აღარ ჰგავს 1920 და წინა წლების სოფელს. როგორი იყო აჭარისტანის სოფელი საბჭოთა ხელისუფლებამდე და როგორია დღეს?

ისტორიული პირობების გამო, აჭარისტანი მოსწყდა ევროპიულ ცივილიზაციის გზას და საუკუნეთა განმავლობაში ფეოდალური ოსმალეთის ნაწილს შეადგენდა.

ჟამთა ვითარებამ აჭარისტანს თავისებური დაღი დაასვა: ჩარჩაკეტილობა, პატრიარქალური ტრადიციები, თავისებური ზნე-ჩვეულება, თავისებური ადათი და სხ. საუკუნეთა მიერ განმტკიცებული ცხოვრების თავისებური პირობები აჭარისტანში უკანასკნელ ხანამდე დარჩა.

ვერც მეფის რუსეთის ასი წლის ბატონობამ და ვერც ქართველ ნაციონალისტთა ცდამ აჭარისტანს ვერ მისცა ის, რაც საჭირო იყო ყოველი ქვეყნის წინსვლისთვის, განვითარება-აღორძინებისათვის.

რა იყო ამისი უმთავრესი მიზეზი?

მიზეზი მრავალი იყო და მათ შორის ერთი უმთავრესი: 1921 წლამდე აჭარისტანში ხალხი, მშრომელი მასა, არ იყო ცნობილი ქვეყნის ბატონ-პატრონად. მეფის მთავრობა და მენშევიკები ცდილობდნენ ზევიდან დაეწყოთ აჭარისტანის „გამოფხიზლება“. რატომ არ მიმართავდენ ხალხს ძველი ხელისუფალნი?

ცხადია, მათ რომ მშრომელი ხალხი გაეხადათ დასაყრდნობ ბაზათ, მაშინ უნდა დამდგარიყვნენ ფუხარა ხალხის ინტერესების თვალსაზრისზე, ხოლო მეფის მთავრობა და მენშევიკები იცავდენ მემამულეების და ბურჟუაზიის ინტერესებს.

აჭარისტანში ბატონობდენ ბეგები, რომელთაც მორჩილებაში ყავდათ ფუხარა ხალხი. მშრომელი ხალხის აქტიური ინიციატივის გარეშე-კი ქვეყნის აღორძინება წარმოუდგენელია.

რას ვხედავთ დღეს?

ბრმაც კი დაინახავს, თუ რა დიდი ცვლილებაა მომხდარი აჭარისტანის სოფლის ცხოვრებაში დღეს საბჭოთა წესწყობილებამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

საბჭოთა წესწყობის დროს მშრომელი ხალხი გახდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონად. ეს ფაქტი საკმარისი იყო იმისათვის, რომ საბჭოთა აჭარისტანი აღორძინების გზაზე დამდგარიყო.

და მართლაც აჭარისტანის ძველი ჩარჩაკეტილი სოფელი გამოფხიზლდა, გაარღვია მამაპაპისეული ტრადიციების წრე და განახლებული ცხოვრების დუღილში გადაეშვა.

აჭარისტანის სოფელი ამოძრავდა. არის ცდა ქალაქთან დაახლოვებისადმი. სოფლელი აჭარელი აღარ კმაყოფილდება მეზობელ სოფლებთან ურთიერთობით, იგი ქალაქისაკენ ილტვის.

ეს სტიქიური ლტოლვა ქალაქისკენ ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ქალაქისა და სოფლის მჭიდროდ დაკავშირებაში. თანამედროვე აჭარის სოფელი უქალაქოთ ვეღარ სძლებს, ხოლო სოფლის ქალაქთან დაკავშირება მოითხოვს ერთგვარ მოსაშველს, შუამავალს. ჩვენ მრავალჯერ აღვნიშნავს, რომ ასეთი მოსაშველის როლის შესრულება უნდა შეასრულოს კოოპერაციამ.

კოოპერატიული იდეა აჭარისტანის სოფლისათვის ნორჩი და ახალია. სოფელს საქმით უნდა დაანახოს კოოპერაციამ თავისი უპირატესობა კერძო ვაჭრობასთან შედარებით, რომ იგი სოფლის მშრომელთა ფართო მასაში პოპულიარული გახდეს.

სოფელი დახმარებასაც საჭიროებს. დახმარება უნდა გამოიხატოს არა მარტო სასოფლო მეურნეობის დარგების განვითარების და მიწათმოქმედების წესების გაუმჯობესებულ ნიადაგზე დაყენების ხელის შეწყობაში, არამედ უსახსრო და ქვრივობოლთათვის სოციალური დახმარების აღმოჩენაშიდაც. ამ მიზნით ამ ჟამად უკვე ეწყობა გლეხთა ურთიერთად დამხმარე კომიტეტები, რომელთა მნიშვნელობის შესახებ ჩვენ რამდენჯერმე დაგვიწერია.

აჭარისტანის გამოფხიზლებულ სოფელს დახმარება და ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

საბჭოთა ხელისუფლება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაეხმარება და ხელმძღვანელობას გაუწევს აჭარისტანის სოფლის ფუხარას, მაგრამ ვიმეორებთ საჭირო და მიუცილებელია თვით ფუხარა ხალხის თაოსნობით მთხდეს სოფლის ახალ გაზაზე გამოსვლა.

## რევოლუციის გაკვეთილები *)

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე—ჯერ კიდევ პარტიის მე-2 ყრილობაზე მომხდარ პირველ განხეთქილების დღიდან ამ სტრიქონების დამწერი იმყოფებოდა მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიის რიგებში; 1909—12 წლების პერიოდში ის მონაწილეობას იღებდა ვენის „პრავდის“ ჯგუფის ცდაში შეედგინა „არა-ფრაქციელების“ ფრაქცია და საშუალო ხაზზე გაეერთიანებია ბოლშევიკები და მენშევიკები: მსოფლიო ომის და რევოლუციის ხანაში ის ეკუთვნოდა მენშევიკ—ინტერნაციონალისტებს და იყო სოლიდარული გერმანიის დამოუკიდებელთა და 2 ნახ. ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ცენტრისა. ამგვარად მთელი თავისი პარტიული წარსულით, მთელი თავისი თეორეტიული აზროვნებით და პოლიტიკური მოღვაწეობით ის ეკუთვნოდა ე. წ. „ცენტრს“. და არა ამჩატებით, არამედ ხანგრძლივი კრიტიკული პროცესის შემდეგ, თანდათანობით, ემორჩილებოდა რა ის ფაქტების ურყევ ლოღიკას და გავლილ წლების გამოცდილებიდან გამოყვანილ დასკვნებს, იძულებული შეიქნა, როგორც მკითხველი დაინახავს ამ წიგნიდან, ეღიარებია ბოლშევიზმის ისტორიული სიმართლე იმ ძირითად საკითხში, რომელიც განსაზღვრავს რევოლუციის ბედ-იღბალს.**)

წინამდებარე შრომის პირველი ნაწილი ეხება რუსეთის რევოლუციის გაკვეთილებს, ეხლა, როცა თებერვალიც და მარტიც ჩაიწერა ისტორიაში, სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა ბედი ეწევა ჩვენს რევოლუციას,—ობიექტიური ანალიზი გვიკარნახებს, თუნდაც ზომიერათ სრულიად უდაო დასკვნების გამოყენებას. პირველ ნაწილში ჩვენ ვეხებით ჩვენს რევოლუციას, უმთავრესად, როგორც ეროვნულს, უყურადღებოთ ვტოვებთ რა ყველაფერ იმას, რაც მისი სოციალური ხასიათით და მასში პროლეტარიატის როლის მიხედვით, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ატმოსფერაში, აყენებს მას სულ სხვაგვარ საფეხურზე, აკუთვნებს მას ისტორიულად პირველობას პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციათა შორის. მაგრამ ასეთი ეროვნული ჩარჩოებით შემოფარგლულ განხილვასაც ჩვენ მივყევართ იმ დასკვნამდე, რომელიც უნდა ჩაითვალოს უდაოთ, რომ ჩვენი რევოლუციის მიმდინარეობაში ოქტომბერი იყო mutatis mutandis იგივე, რაც საფრანგეთის რევოლუციაში—1793 წელი. ხოლო 1793 წლის გარეშე საფრანგეთის რევოლუცია ჩაიწერებოდა ისტორიაში არა როგორც დიადი, არამედ როგორც უმნიშვნელო და შეკვეცილი.

ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება მას შემდეგ, **რაც თანდათანობით გაკოტრდენ რიგ-რიგობით ყველა სხვა პარტიები რევოლუციაში.** რაც დადასტურებული იყო განვითარების მთელი მიმდინარეობით დაწყებული რომანოვების მონარქიიდან და პირველ დროებით მთავრობიდან და გათავებული პირველი კოალიციით, (2 მაისიდან—2 ივლისამდე), მეორე კოალიცია (2 ივლისიდან 27 აგვისტომდე) და მესამე კოალიციით, რომლის ერთ ადგილზე გაყინვის ძაფი გაგლეჯილ იქნა უკვე უშუალოთ 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს).

პლეხანოვი 1917 წელს უპირდაპირებდა მოვლენების ამ ფაქტიურ მსვლელობას რევოლუციის იდეალურ „აღმავალ ხაზს“. იმას, რომ დღემდის ეცოცხლა, ვფიქრობთ, მას ეყოფოდა გამბედაობა ეღიარებია, რომ ისტორიული განვითარების ხაზი თებერვლიდან ოქტომბრამდე სწორედ „აღმავალი“ აღმოჩნდა, მხოლოდ, რა თქმა უნდა, საფრანგეთის დიდი რევოლუციისაგან იმ განსხვავებით, რომ ეპოქათა ხასიათის სხვადასხვაობის კლასობრივ წინააღმდეგობათა უფრო მეტ სირთულის, სიმწვავის და განვითარების გამო, ხუთი წლის პერიოდი 1788—1793 წ. წ. გავლილი იქნა ჩვენი რევოლუციის მიერ, რომელსაც ქონდა თავის შესავალი უკვე 1905 წელში, 7 თვის განმავლობაში.

რამდენადაც საერთოთ დასაშვებია—რა თქმა უნდა სათანადო გამონაკლისებით,—შედარება და ანალოგიები ისტორიულ ეპოქათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ პარტიების თანდათანობითი გაკოტრება რევოლუციის დროს, ხდებოდა ჩვენში თითქმის ისეთსავე თანამიმდევრობით, როგორც 1 მეოთხედი საუკუნის წინ, საფრანგეთში აბსოლიუტიზმის ლიკვიდაციის ხანაში. მაგრამ პროლეტარიატის, როგორც დამოუკიდებელ კლასიურ ძალის გამოსვლამ, რომელიც იმ თავითვე მტრულათ იყო განწყობილი ბურჟუაზიის ყველა ფრაქციისადმი გამოიწვია ჩვენში მთელი ამ პროცესის ერთი საფუძურით მარჯვნისაკენ გადახრა. ასე, მაგ., კადეტები, რომელნიც თავის სოციალური ბუნებით და თავისი საკუთარი იდეოლოგიური ზრახვებით. თითქოს უნდა ყოფილიყვნენ „ჟირონდისტების“ „პროგრესის“ ამ იდეოლოგების და საქმიანი ბურჟუაზიის როლის შემსრულებელნი, სინამდვილეში გამოდიოდენ ჩვენში იმ თავითვე, როგორც ფოლიანტები, ზომიერი—კონსტიტუციონური ნახევრად მონარქისტები; ხოლო რესპუბლიკანურ ჟირონდის როლი ერგო ესერების და მენშევიკების სოციალისტურ ბლოკს. ამ ბლოკის გარეშე დარჩენილი და ფაქტიურად ბოლშევიკებისაკენ გადახრილი მენშევიკ-ინტერნაციონალისტების ჯგუფი სცდილობდა გამოემუშავებია შერიგების ფართო კონცენტრაციის „დანტონისტური“ ხაზი. მაგრამ აღმოჩნდა გასრესილი რევოლუციის ორომტრიალში. რეალურ ძალთა შეჯახების დროს გაიმარჯვა, თუ განვაგრძობთ ანალოგიას,—„მემარცხენე რობესპიერების ცენტრმა“—ბოლშევიზმმა.

1917 წ. ოქტომბერში ბოლშევიკების გამარჯვებით ისტორიული კანონ შეწონილება აღარავისთვის სადაო საკითხს არ შეადგენს. ვინ შესძლებდა დღეს მხარი დაეჭირა „ბოლშევიკურ ავანტიურის“ ილიუზიებისათვის, რომელიც მოასწავებდა დაღუპვას ერთი კვირის განმავლობაში? მილიუკოვიც კი, ისტორიულ რეტროსპექციაში, უცქერის რა იმ ტალღებს, რომელმაც ის გადახვეწა სენის ნაპირებზე, იძულებულია აღიაროს, რომ ეს ტალღები, ასეა თუ ისე, გამოდიოდენ ხალხთა წიაღიდან. ის იძულებულია აღიაროს—რუსეთის მეორე რევოლუციის თავის ისტორიაში—„მაღალ სოციალურ ფენების სისუსტე, რომლებმაც ასე ადვილად დასთმეს თავისი ადგილი, შემდეგ კი იქნენ გარიყულნი **აჯანყებულ ხალხის მიერ.** (კურსივი ჩვენია).

კიდევ მეტი. თუ დემოკრატიის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმას, რასაც გულისხმობს „რუსეთის ჯანყის“ მეორე ისტორიოგრაფი გენერალი დენიკინი, რომელიც თავის თავსაც „ლიბერალურ დემოკრატებს“ აკუთვნებს,—თუ დემოკრატიის ქვეშ ვიგულისხმებთ ხალხის დაბალი ფენების ინტერესთა ბატონობას, ხალხთა მასების პოლიტიკურ უპირატესობას, საჭირო იქნება აღვიაროთ, რომ დამფუძნებელი კრებაც ჭეშმარიტი დემოკრატიის მიერ იყო გარეკილი, იმ დემოკრატიის, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროსაც, არც ისე ძალიან ზრუნავდა კანონიერ რეგლამენტებზე, ხმაურობით ავსებდა კონვენტის დარბაზს და გაბედულად უკარნახებდა მას თავის ნება-სურვილებს, და არ ჩერდებოდა, როგორც ვიცით, მისი თავის მოკვეთის წინაშეც კი.

ჩვენი ჟირონდა, 7 თვეზე მეტი, რევოლუციონურ აღტყინების და აღფრთოვანების 7 თვის განმავლობაში, უაზროდ ფართხალობდა გამოუვალ ჩიხში, ანტანტის ბაწარზე გამობმული, კოალიციონურად—უნებისყოფო, უძლური, შეშინებული ლიბერალის და განრისხებულ მოკავშირის აჩრდილის წინაშე. მხოლოდ ოქტომბრის გამარჯვებამ გასჭრა ომის გორდიის კვანძი და პირველმა რადიკალურად გადასწყვიტა ის ძირითადი ამოცანები. რომელიც ობიექტიურად დასმული იყო ისტორიის მიერ ჩვენი რევოლუციის წინაშე, თუ მას განვიხილავთ თუნდაც როგორც ეროვნულ იაკობინურს.

ძალიან საეჭვოა, რომ ეხლა იყოს კიდევ რაიმე ეჭვი იმის გამო, რომ ბოლშევიკების მიერ მოხდენილ ოქტომბრის გადატრიალების გარეშე, რუსეთის რევოლუცია კარგა ხნის დანარცხებული იქნებოდა მიწაზე. კორნილოვის ეპოქა და „დირექტორიის“ მთელი ვითარება არ ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ არსებითად კერენსკის რეჟიმი ბოლოს გახდა **კონტრრევოლიუციის შესავალი.** შემთხვევითი ხომ არ არიან ის რეალური ძალები, რომლებზედაც შეეძლო, უფრო სწორად სცდილობდა, დაყრდნობას კერენსკი ოქტომბრის „გადატრიალების“ წინააღმდეგ, უკეთ, სწორედ ის ძალები, რომლებიც მანამდეც და მას შემდეგაც, აღგენდნენ ჩვენი კონტრ-რევოლიუციის მებრძოლ ცენტრს. ერთად-ერთი ელემენტი, რომლისგანაც შეიძლებოდა დახმარების მიღება სახელმწიფოებრიობის დასაცავად, —დიდი გესლით, მაგრამ ისტორიულად სავსებით სისწორით აღნიშნავს დენიკინი („რუსეთის ჯანყის ისტორიაში“ ტ. II)—ბედის დაცინვით, აღმოჩნდენ ისევ ის „კორნილოვის მეამბოხენი“—აფიცრები, იუნკრები, უდარნიკები“ „ტეკინელები“, ისევ 3-ე ცხენოსანი კორპუსი.

ეჭვს გარეშეა, მენშევიკები თავის პოლიტიკაში რევოლუციის დღეს, აგრეთვე ესერებიც ხელმძღვანელობდენ არა იმით, ხელი შეეწყოთ კონტრრევოლიუციისათვის, არამედ იმით, რომ „რეალისტურად“ უზრუნველყოთ რევოლიუციის განვითარების „უმტკივნეული“ გზა, მაგრამ ეს „რეალიზმი“ გარდა ყოველივე დანარჩენისა, აღმოჩნდა წმინდა ილიუზიონიზმი, უმტკივნეული რევოლიუცია. ეს არის ხის რკინა. მენშევიზმმა გამოიმუშავა შესანიშნავი ტაქტიკა რევოლიუციისათვის გამოსადეგი. „**როგორიც იგი უნდა ყოფილიყო**“. ბოლშევიზმი აღმოჩნდა რუსეთის რევოლიუციის გამომხატველი, **როგორიც არის იგი.** ჯერ კიდევ მოხუცმა კანტმაც განმარტა, რით განირჩევა 109 შესაძლებელი ტალერი, 100 ნამდვილი ტალერისაგან.

ძველი ფრაქციული დავა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების და „ორი ტაქტიკის—ბურჟუაზიულ ლიბერალიზმისაკენ, თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის და გლეხობის კავშირზე ორიენტაციის შესახებ, ისტორიამ გადასწყვიტა ბოლშევიზმის სასარგებლოდ.

თავისი ოქტომბრის გამარჯვებით ბოლშევიზმა მოიპოვა სწორედ, როგორც რუსეთის მუშათა კლასის და გლეხობის რევოლიუციონურ კავშირის პარტიამ.

ის ძალა, რომელიც ჩვენს რევოლიუციაში ვეგმონიის როლს თამაშობდა, როდი წარმოადგენდა იმ სანკიულოტურ მასას, რომელსაც რობესპიერი ეყრდნობოდა.

---

*) ეს წერილი ეკუთვნის ცნობილ ს. დ., რომელმაც დასტოვა მენშევიკების პარტია და კომინტერნის დროშის ქვეშ დასდგა. წერილი წარმოადგენს შესავალს წიგნისას იმავე სათაურით: მოგვყავს „სიმართლის ხმიდან“.

**) ასეთმა რწმენამ აიძულა ავტორი 2 წლის წინად ჩამოშორებოდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის მუშაობას, რომელიც ამ დროისათვის მარჯვნისაკენ გადაიხარა, და შემდეგ გამოსულიყო მისი შემადგენლობიდან. მაგრამ რამდენადაც ეს გამოსვლა მოხდა იმ პერიოდში, როცა პარტიულმა ძველმა ამხანაგებმა განიცადეს რეპრესიები, მან უადგილოთ მიიჩნია თავის შესახებ საჯარო განცხადებით გამოსულიყო. ცხადია, რომ ასეთი სიჩუმე დიდი ხნით არ გაგრძელდებოდა იმ დროთა ვითარებაში, რომელიც მოითხოვს გარკვეულობას და სიცხადეს თვითეულისაგან. ვისაც არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ტანჯვაში წარმოშობილ პროლეტარულ რევოლიუციის ბედ-იღბალს.

# რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 27 ნოემბრიდან).

— ებერტს ჰსურს მთავრობაში შევიდეს ღირსეული ხალხი.

— ნაციონალისტები და სახალხო პარტია წინააღმდეგნი არიან პარლამენტარულ მთავრობისა.

— კოალიციონური მთავრობის შედგენის აზრი უკუგდებულია.

— შტრეზემანი უარს ამბობს ახალ მთავრობაში შესვლაზედ.

— ახალ მთავრობაში გესლერის ადგილს დაიჭერს სექტი.

— ზოგიერთი მინისტრები დარჩებიან თავის ადგილზედ.

— საფრანგეთის მემარჯვენე პრესა მეტად კმაყოფილია გერმანეთში ანარქიის გამეფებით.

— რურის მრეწველთა და ფრანგებს შორის დაიდო შეთანხმება.

## გერმანეთის ამბები

### ახალი მთავრობის შედგენა

ლონდონის გაზეთ „დეილი მეილს“ ბერლინის კორესპოდენტი აცნობებს, რომ ახალი პარლამენტარული მთავრობის შედგენის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა ჯერ ჯერობით. მაინც პრეზიდენტმა ებერტმა დოր ჰენრიხ ალბერტს წინადადება მისცა შეადგინოს მთავრობა „მტკიცე ხალხისაგან“, რომელნიც მზად იქნებიან მთელი თავისი ძალღონე მოახმარონ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. ომის დასაწყისში ალბერტი კომერციული მდივანი იყო გერმანეთის საელჩოსი ვაშინგტონში, სადაც პროპაგანდას ეწეოდა, რათა შეერთებული შტატები არ ჩარეულიყვნენ ომში. ალბერტს იმედი აქვს ორშაბათისათვის შეადგინოს ახალი მთავრობა. შტრეზემანმა უარი სთქვა საგარეო საქმეთა მინისტრობაზე, ხოლო ზოგიერთი სხვა მინისტრებს ძველი მთავრობისას იმედი აქვთ დარჩენისა.

იმავე გაზეთს აცნობებენ ბერლინიდან, რომ, იქ გამეფებული აზრით, რეიხსტაგი ჩამოაგდებს ალბერტის მთავრობას, რის შემდეგაც ებერტი დაითხოვს რეიხსტაგს. ამ შემთხვევაში დიქტატურად დარჩება გენერალი სექტი.

### ალბერტის მთავრობა

ყოფილმა აღდგენის მინისტრმა კუნოს მთავრობაში მიიღო ებერტის წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ.

ალბერტისადმი წერილობით მიმართვაში ებერტი ამბობს, რომ გერმანეთის დღევანდელ მძიმე პირობებში კანონიერი მთავრობის შედგენის გადადება არას გზით არ შეიძლება. მთავრობა უნდა შესდგეს ღირსეულ ხალხისაგან, რომელთაც შეუძლიანთ ტანჯულ გერმანეთის გულისთვის გვერდზედ გადასდონ თავისი ყველა პირადული, თუ პარტიული ანგარიშები.

### ცდები ახალი მთავრობის შედგენისათვის

კარდორფის ცდამ შეედგინა მთავრობა, სახალხო პარტიისა და ნაციონალისტების წინააღმდეგობის გამო, უნაყოფოდ ჩაიარა. ორივე ხსენებული პარტია ეწინააღმდეგებიან პარლამენტარულ მთავრობის შედგენას.

„დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ ებერტს ურჩევს დაითხოვოს რეიხსტაგი და თვითონ იკისროს კაბინეთის შედგენა.

ფიქრობენ, რომ თუ კაბინეტის შედგენა დაევალა ნაციონალისტების ერთ-ერთ ლიდერს, ეს უკანასკნელი მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას.

კარდორფის ცდის უნაყოფობის შემდეგ, კოალიციონური მთავრობის შედგენის აზრი უკუგდებულია.

ებერტმა დაავალა ყოფილ კუნოს მთავრობის წევრს, ალბერტს. შეადგინოს საქმიანი კაბინეთი. ალბერტმა წინადადება მიიღო.

ალბერტი მოლაპარაკებას აწარმოებს პარტიების ბელადებთან. შტრეზემანმა უარი სთქვა გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზედ. ფიქრობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი იარრესი, მეურნეობის მინისტრი ბრაუნი. ფოსტა-ტელეგრაფისა გეფი და გზათა—ეზერი დარჩებიან თავ-თავის ადგილზედ. სექტი დაიჭერს გესლერის ადგილს. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, როგორც ეტყობა, დაევალება მანცმანს, ფულის ტრიალის საკითხები გადაეცემა რეიხსბანკის დირექტორის გამგებლობაში, რომლის თანამდებობაზედაც კანდიდატად ასახელებენ შახტს.

### გიტლერის აჯანყების გამოძახილი.

კარმა უარი სთქვა გიტლერის აჯანყების ზოგიერთ მონაწილეთა ლეიპციგს სასამართლოსათვის გადაცემაზედ და განაცხადა, რომ გიტლერის მომხრენი მიცემული არიან ბავარიის სასამართლოში.

### საფრანგეთის პრესა შტრეზემანის გადადგომის შესახებ.

იხილავს რა შტრეზემანის გადადგომას, საფრანგეთის მემარჯვენე პრესა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანეთში ანარქიის გაძლიერების გამო და აცხადებს, რომ ეს ანარქია ერთად-ერთი გარანტია არის საფრანგეთის უშიშროებისათვის. მემარცხენე პრესა, პირიქით, მწუხარებით იგონებს, რომ შტრეზემანი სცდილობდა განეხორციელებინა საფრანგეთ-გერმანეთის შეთანხმება, რასაც ხელს უშლიდა საფრანგეთის მთავრობა.

საფრანგეთის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ გერმანეთის ნამდვილი მმართველი არის სექტი.

### ინგლისის პრესის აზრი.

„ტაიმსი“ სწერს: „გერმანეთის დანაწილება — მომხდარი ფაქტია. გერმანეთის ერთი ნაწილი ახალ სახელმწიფოდ ხდება საფრანგეთის კონტროლის ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილზედ მეფდება ანარქია. ყოველივე ამისათვის მადლობის ღირსია საფრანგეთი“.

### რურში.

რურის მრეწველთა და ფრანგებს შორის ხელმოწერილია შეთანხმება. ნახევრად ოფიციალურ ცნობაში, ვოლფას სააგენტო შეთანხმების პირობებს არა ხელსაყრელად სთვლის გერმანეთისათვის. ამასთანავე აღნიშნავს, რომ საიმპერიო მთავრობა არ წავიდა ხელშეკრულების წინააღმდეგ, რადგანაც საჭიროდ სცნობდა რაიმე შეთანხმების დადებას საოკუპაციო მთავრობასთან, რათა ამით ხელი შეეუშალა კრიზის განვითარებისათვის ოკუპაცია ქმნილ ოლქებში.

### რურის მრეწველთა მოთხოვნილება.

„ფორვერტსი“ იუწყება, რომ რურის მრეწველები მოითხოვენ პასიურ წინააღმდეგობის დროს შემდგარ 140 მილიონ ოქროს მარკის ვალის გაუქმებას.

### ტრირში.

ტრირში საფრანგეთის ჯარებმა იარაღი აჰყარეს სეპარატისტებს, ქალაქის მმართველობა ისევ გერმანელების ხელშია.

### სარეპარაციო კომისია

პარიზის ცნობით, სარეპარაციო კომისიის სხდომაზედ გერმანეთის ექსპერტებმა გაზი გაუსვეს რომ შეუძლებელია რეგულიარულად ხარჯების გადახდის აღდგენა, ვიდრე არ აღსდგება ქვეყნის ეკონომიური მთლიანობა, რომელიც დაარღვია რურის ოკუპაციამ. ექსპერტებმა აღნიშნეს, ბელგიის ტეხნიკურ კომისიის ნამუშევარი შეიძლება გახდეს სარეპარაციო მოლაპარაკების ბაზად.

### სავაჭრო ხელშეკრულებანი რურში.

რომის გაზეთი „ეპოქა“ სწერს, რომ საფრანგეთმა შესძლო რურში ხელში ჩაეგდო მთელი ევროპის ნახშირისა და რკინის მრეწველობა, საფრანგეთი გახდა ს. ს. რ. კ. და გერმანეთის მრეწველთა ხელშეკრულებების შემკვიდრი და ამისათვის უნდა ველოდეთ, რომ მოკლე დროში ს. ს. რ. კ. და საფრანგეთს შორის დაიდება სავაჭრო ხელშეკრულება.

## უცხოეთი

### საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმება.

**პარიზი.** ბელგიის პარლამენტის ფინანსიურმა კომისიამ მიიღო საფრანგეთ-ბელგიის ეკონომიურ შეთანხმების კანონ-პროექტი

### საფრანგეთის შეიარაღება.

**პარიზი.** გაზეთმა „ჰუმანიტემ“ გამოაქვეყნა მუშათა სასპორტო ფედერაციის „მუშათა სპორტის“ აღკრძალული წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის ჯარში გაწვეულია კიდევ ერთი წელი, წერილი ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთს ახალ ომის მოლოდინში ჯარში ჰყავს 600.000 კაცი და აღნიშნავს, რომ ამ ჟამად ომი სწარმოებს რურში; ახლად გაწვეულ საფრანგეთის ჯარის-კაცებმა ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან დახოცონ გერმანეთის მუშები, ან კიდევ დაძმობილდენ მათთან.

### კომუნისტებთან ბრძოლა.

**პარიზი.** კომუნისტურ გაზეთის „სავოის მუშის“ რედაქტორი სამართალშია მიცემული, სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ მოწოდებისათვის. ეს მოწოდება ხელისუფლებამ დაინახა გაზეთში დაბეჭდილ ბარბიუსის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ბერლინში ანტიმილიტარისტთა ყრილობაზედ.

### პუანკარეს მოხსენება საგარეო პოლიტიკაზე.

**პარიზი.** პუანკარემ მოხსენება გააკეთა პარლამენტში საგარეო პოლიტიკის შესახებ, სადაც განაცხადა, რომ ელჩთა კონფერენციაზედ მიაღწიეს შეთანხმებას.

კაშენმა აღნიშნა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის შეუსაბამობა; საფრანგეთის მთავრობა სცდილობს, ვითომც, დაიცვას ანტანტა და ამავე დროს კი მოკავშირეთა სურვილის წინააღმდეგ ახდენს რურის ოკუპაციას.

სოციალისტი ბლიუმი ტარდიესა და პუანკარეს შორის ბრძოლაში ჰხედავს პარლამენტარულ რეჟიმის დარღვევასა და პროფონაციას. უპასუხებს რა განცხადებაზე, კაშენი კმაყოფილებას გამოსთქვამს პარლამენტარიზმის პრესტიჟის დაცემის გამო და აცხადებს რომ პარლამენტარულ რეჟიმს აუცილებელი დაღუპვა მოელის.

520 ხმის უმრავლესობით, 15 წინააღმდეგ, პარლამენტმა მოიწონა მთავრობის პოზიცია ელჩთა

---

ოქტომბერში ხელისუფლებასთან ჩაძდგარ ბოლშევიკურ პარტიის მხარეზე იყო რევოლიუციონურ რეალიზმის ყველა უპირატესობა და მარქსისტული მეთოდის ყველა დადებითი მხარეები, ამ უპირატესობათა გამო ბოლშევიზმმა შესძლო არაჩვეულებრივათ რთულ შინაურ და საერთაშორისო პირობებში გადაერჩინა რევოლიუცია იმ საშიშ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, რომელზედაც მოუქნელმა დოქტრინიორ-სოციალისტებმა ჟან-ჟაკ რუსსოს მოწაფემ რობესპიერმა კისერი მოუტეხა მთელს რევოლიუციას და თავის თავსაც.

რასაკვირველია, რევოლიუციონურ—მარქსისტული პარტია, რომელიც სათავეში უდგას ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას,—ქვეყანას, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა მსოფლიო და სამოქალაქო ომის ალმურიდან, ნახევრათ განადგურებული სამრეწველო ცენტრებით, დაქსაქსულ და სისხლ დალეულ პროლეტარიატით,—ეს ისტორიულათ შექმნილი მდგომარეობა საკმაო საფრთხეს და წინააღმდეგობას შეიცავს.

რასაკვირველია პირდაპირ შეცდომებსაც ქონდა ადგილი ამ გასაოცრათ რთულ პირობებში. ჩვენის აზრით უდიდესი ამ შეცდომათაგანი იყო „სამხედრო კომუნიზმი“,—არა თავიდან აუცილებელ პრაქტიკულ საჭიროების თვალსაზრისით, არამედ თეორიაში. ეს პერიოდი დროზე შესცვალა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ „ნეპ“-ის მიერ განთავისუფლებულ სტიქიონს მომავალშიაც შეუძლია გამოიწვიოს მრავალი წინააღმდეგობა, რომლებიც, შეიძლება, საბედისწეროც გახდეს რუსეთის რევოლიუციისათვის იმ შემთხვევაში, თუ იგი კიდევ დიდ ხანს დარჩება განკერძოებული, თუ მას მხარს არ დაუჭერს გამარჯვებული პროლეტარული რევოლიუცია თუნდაც ერთ რომელიმე მოწინავე სამრეწველო ქვეყანაში.

როზა ლიუქსენბურგი ბრესლავის ციხიდან სწერდა ლიუზა კაუცკის ოქტომბრის რევოლიუციის გამო.

„გახარებს თუ არა რუსების ამბავი? რასაკვირველია, ისინი ვერ გასძლებენ დიდ ხანს ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში,—არა იმიტომ, რომ სტატისტიკა რუსეთის მეტის ეკონომიურ ჩამორჩენილობას მეტყველებს, როგორც ეს შენმა ბრძენმა ქმარმა გამოიანგარიშა, არამედ იმიტომ, რომ მაღალ განათლებულ დასავლეთის სოციალ-დემოკრატია შესდგება უბადრუკ და ყოვლად უვარგის მშიშარებისაგან, რომლებიც გულდამშვიდებით ცქერას დაუწყებენ რუსებს, სანამ ისინი სისხლისაგან დაიცლებოდენ. მაგრამ ამგვარი სიკვდილი „სამშობლოსათვის სიცოცხლეს“ სჯობია, ეს ისტორიული საქმეა, რომლის კვალი არასოდეს არ გაქრება ერთა შორის“.

გავიდა ექვსი წელიწადი. რუსეთის რევოლიუციამ არა თუ იხსნა თავი „ჯოჯოხეთურ ორომტრიალიდან“, არა თუ გასძლო უამრავ მტრებთან ბრძოლაში, არამედ ძლევამოსილ მსოფლიო რევოლიუციონურ ძალათ გადაიქცა, **იგი გადაიქცა მსოფლიო ასპარეზზე პროლეტარულ რევოლიუციის ერთად ერთ ციხე სიმაგრეთ**, რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა გაიმარჯვოს ამ რევოლიუციამ. მაგრამ, ვიდრე ეს გამარჯვება არა გვაქვს, ისტორიის მიერ რუსეთის რევოლიუციაში ჩანერგილი წინააღმდეგობები ძალაში რჩებიან და არა ერთხელ გვაგრძნობინებენ არაჩვეულებრივ დაბრკოლებებს, რომლებიც თავის რიგათ მრავალ შეცდომას და სიმახინჯეს გამოიწვევენ.

მაგრამ როგორი დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ის „—რომ შეცდომებს გასწორება სჭირია, რომ სიმახინჯეს მოსპობა უნდა, ეს ელემენტარული მოთხოვნილებაა და რა საკვირველია, იგი არ შეიძლება საფუძვლათ დაედოს რევოლიუციის პრინციპიალურათ განსხვავებულ გეზს. ასეთი გეზი ბოლშევიზმის გვერდით, ეხლა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ, შეიძლება აშენდეს მხოლოდ ერთ საფუძველზე, სახელდობრ, იმ მოთხოვნაზე, რომ პოლიტიკური ზედნაშენი (რევოლიუციონური ხელისუფლება) „შეფარდებულ იქნეს“ ეკონომიურ ბაზასთან („ნეპ“-ის მიერ განთავისუფლებულ კაპიტალიზმთან) ე. ი. მარტივათ რომ ვთქვათ, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლებისაგან გადადგომის მოთხოვნაზე, ასეთი „მარქსისტული“ რეცეპტი მართლაც მოსპობდა ყოველივე რევოლიუციონურ წინააღმდეგობას, რადგან თვით რევოლიუციაც მოისპობოდა!

**შეეძლო თუ არა ბოლშევიკებს ოქტომბერში ხელში არ აეღოთ ძალა-უფლება?** რევოლიუცია ამ შემთხვევაში, როგორც ამას ჩვენს წიგნში დავამტკიცებთ, საფუძველშივე ჩაქრებოდა.

**შეუძლიათ თუ არა ბოლშევიკებს ეხლა გადადგნენ ხელისუფლებისაგან?**

უცნაური კითხვაა!

**პოლიტიკურათ** ეს იქნებოდა ორი მოკლე ეტაპის შემდეგ, ან უფრო სწორათ,— რომანოვების რესტავრაციის შემდეგ მშრომელთა მასების **სოციალურათ** არაჩვეულებრივი დამონავება და, **საერთაშორისო თვალსაზრისით კი**, რუსეთის გადაქცევა,— და ეს იქნებოდა უკეთეს შემთხვევაში, დიდ ჰუნგრეთათ ან პოლონეთათ, საფრანგეთ—ინგლისის მიერ ლაგამ-ამოდებულ გაფრთხილებულ ჟანდარმათ ყველა რევოლიუციებისათვის, როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპის ცენტრშიაც.

იმპერიალისტურ ძალთა თარეშში მუჟიკური რუსეთი ბოლშევიკურ ხელისუფლების გარეშე გადაიქცეოდა უსაშინელეს მუქარათ, პირველათ ყოვლისა გერმანიის რევოლიუციისათვის, რომლის განვითარება არ დამთავრდება გამარჯვებით ან დამარცხებით მაინც და მაინც ამ უახლოეს კვირეებში ან დღეებში.

საკითხი ჩვენი რევოლიუციის, როგორც პროლეტარულ—სოციალისტურ რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ და ამ საკითხთან განუყრელად დაკავშირებული ინტერნაციონალის საკითხი გარჩეული იქნება ჩვენი შრომის მეორე ნაწილში. აქ კი პირველ ნაწილის შესავალში, ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვით გამოვსთქვათ ჩვენი და გერმანიის რევოლიუციის გაკვეთილებიდან მიღებული ძირითადი დასკვნა.

რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო მნიშვნელობა, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე პარიზის კომუნის მნიშვნელობა, მდგომარეობს იმაში, რომ მან ნათელჰყო პროლეტარულ რევოლიუციისათვის აუცილებელ სამოქალაქო ომის მექანიზმი. საქმე „რუსეთის პრაქტიკის“ ამა თუ იმ კერძო თვისებაში კი არ არის, მათი დაკანონება სასაცილო იქნებოდა. საქმე იმ **ძირითად ფაქტშია**, რომელიც ჩვენმა რევოლიუციამ გამოშკარავა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ახალ ეპოქისათვის, რომელიც ფორმალურად მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, პროლეტარიატის ძალა უფლებისათვის უშუალო ბრძოლის ეპოქისათვის, **აუცილებელი გზა სოციალიზმისაკენ არის არა „დემოკრატია“ და კოალიცია, არამედ სამოქალაქო ომი და დიქტატურა.**

„მსოფლიო ბოლშევიზმის“ სიმართლე ამ ძირითად საკითხში განსაკუთრებული მჭერმეტყველობით დაასაბუთა უკანასკნელ წლების ორმა ფაქტმა 1) **ფაშიზმმა** რომელმაც ჩამოჰგლიჯა დემოკრატიული ფარდა ომის შემდგომ ხანის კაპიტალიზმს და რომელმაც ეს კაპიტალიზმი წარმოადგინა, როგორც მუშათა კლასის წინააღმდეგ შეიარაღებული და სამოქალაქო ომში გამოჭედილი ორგანიზაცია, და 2 **გერმანიის რევოლიუციის** მთელმა განვითარებამ, რომლის ეტაპები ასე ცოცხლად გვაგონებენ ჩვენი რევოლიუციის მიერ 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერს შუა გავლილ ზიგზაგებს. მენშევიკ ესერების ჟირონდისტულ ბლოკის განხორციელება მისი უმაღლეს საფეხურამდე ისტორიამ გერმანიის სოც.-დემოკრატიას დააკისრა. და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა ის, რომ იმ ერთად-ერთ მომენტს, როდესაც გერმანიის ბურჟუაზია განიარაღებული დარჩა, პროლეტარიატი კი შეიარაღებული, სოც.-დემოკრატიამ დიდი და პატარა ნოსკეების ხელით იარაღი აჰყარა პროლეტარიატს და შეიარაღა ბურჟუაზია. ხომ სოც.-დემოკრატია დაეხმარა ბურჟუაზიას რეიხსვერის შექმნაში, რომლის ჯარისკაცები ჩვენი თვალის წინ ებერტისა და შტრეზემანის სოც.-დემოკრატიულ კოლეგების კურთხევით გაგზავნილ იქნენ მუშურ საქსონიის დასარბევათ, გერმანიის მუშათა რევოლიუციის ჩასახრჩობათ?

მაგრამ მემარცხ. სოც.-დემოკრატები?

საბედისწერო შეცდომა მენშევიკ ინტერნაციონალისტების, რომლებმაც გადაიწყვიტეს წუთში, ოქტომბერში ვერ გასწყვიტეს კავშირი თავის ტრადიციებთან და ვერ მიემხრნენ უყოყმანოდ რევოლიუციის ავანგარდს,—ეს შეცდომა საერთაშორისო მაშტაბით გამეორდა. დიახ, გამეორდა ისეთივე უნუგეშო შედეგით.

გერმანიის „დამოუკიდებლები“, რომლებმაც ერთხანს კომუნისტურ ინტერნაციონალის გეზი აიღეს, ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიაში გაითქვიფენ. ვენის ინტერნაციონალი გაითქვიფა მეორე ინტერნაციონალში, რომლის შესახებ შეუძლებელია ეჭვიც, რომ მსოფლიო ომის განმეორებისთანავე მისი ნაციონალური სექციები კვლავ თავიანთ მმობლიურ იმპერიალიზმის სამსახურს შეუდგებიან სწორეთ ისე, როგორც ეს 1914 წელს მოხდა.

უკვე ამითაც მემარცხენე ს. დემოკრატებმა ხელი მოაწერეს საკუთარ სასიკვდილო განაჩენს. მართლაც და, განა შესაძლებელი იქნება მომავალშიაც, რევოლიუციის ყველა გაკვეთილების შემდეგაც მარცხნიდან მარჯვნით რყევა და სხვის ფეხებში ბორგვა, განა შესაძლებელი იქნება გერმანიის უკანასკნელ მწარე გამოცდილების შემდეგაც ხეიმით დამარხულ „დამოუკიდებელ“ პარტიის და 2 ნახ. ინტერნაციონალის მკვდრეთით აღდგენის ცდის განმეორება? მაშ რა გამოსავალი რჩება?

ერთათ ერთი: უნდა საბოლოოთ აღიარებულ იქნეს, რომ **„ცენტრალიზმს“ ადგილი არ აქვს იქ, სადაც დგას ალტერნატივა ან რეფორმისტულ-დემოკრატიული სოციალიზმი**, რომელიც პროლეტარიატის ხელისუფლებისთვის და სოციალიზმისათვის ბრძოლა გადააქვს ნისლით დაფარულ მომავალში, მრავალ საუკუნეთა იქეთ, და რომელიც სოციალისტურ პარტიას ფაქტიურათ ბურჟუაზიის დამატებათ და შირმათ აქცევს,—ან **რევოლიუციონური მარქსიზმი**, რომელიც ათასგვარ წინააღმდეგობებით გამწვავებულ ახალ ეპოქაში სოციალურ რევოლიუციის, პროლეტარულ დიქტატურის დროში ქვეშ რაზმავს მშრომელთა მასებს.

რეფორმიზმთან პირველ ბრძოლის პერიოდში, 900-იან წლების დასასრულში ისტორიამ სოციალიზმის წინაშე დააყენა სამკვდრო-სასიცოცხლო ამოცანა:

ამოცანა ძალთა კონცენტრაციისა მემარცხენე რევოლიუციონურ ფრთის გარშემო.

და ეხლაც, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე საერთაშორისო სოციალიზმის წინაშე დგას ამოცანა მემარცხენე კომუნისტურ ფლანგის გაძლიერების, რომელიც სულ უფრო და უფრო იქცევა რევოლიუციონურ აღფრთოვანების და მასების გეროიზმის გამომხატველად და ამასთანავე, ჭეშმარიტ-რევოლიუციონურ რეალიზმის მატარებლათ, რეალიზმის, რომელიც განთავისუფლებულია წინამორბედ მშვიდობიან ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებულ და წარსულ წელთა გამოცდილებით შეუბრალებლად დამსხვრეულ ილიუზიებისაგან.

ნ. ხმელკოვსკი.

7 ნოემბერი 1923 წ.

კონფერენციაზედ. პოზიციის მოწონებას ხმა მისცეს სოციალისტებმა და რადიკალებმაც.

ოფიციოზი პრესა კმაყოფილია კენჭის ყრის შედეგისა, მაგრამ ვერ ჰფარავს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მეტი ნაწილი ვერსალის ხელშეკრულების წინაამდეგია.

უკანასკნელ პარლამენტარულ კამათს მთელი პრესა აფასებს, როგორც კლემანსოს ტრადიციის საბოლოო გაკოტრებას.

„ერ ნუველი“ ირონიულად აღნიშნავს პუანკარეს შეთანხმებას მემარცხენე ბლოკთან, რომლის ლიდერების უკანასკნელ ხანამდე მუდმივად აკრიტიკებდნენ მთავრობის მოქმედებას.

გაზეთ „ჰუმანიტეში“ კაშენი აღნიშნავს, რომ მთავრობამ თვითონვე სცნო ვერსალის ხელშეკრულების შეუსაბამობა.

**მოსამსახურეთა მანიფესტაცია**

**პარიზი.** საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების მიტინგი, რომელმაც დაადგინა მოითხოვოს ერთდროულად დამატებითი ჯამაგირის მიცემა სიძვირის გამო, ბოლოს გადაიქცა მანიფესტაციად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მიუხედავად პოლიციის ჩარევისა საქმეში, მანიფესტანტებმა, მაინც გაიარეს პარიზის ყველა დიდ ქუჩებზედ.

**საფრანგეთი და ს. ს. რ. კ.**

**პარიზი.** მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენი“ პროტესტს აცხადებს იმ განკარგულების გამო, რომლითაც საბჭოთა გემებს ეკრძალებათ საფრანგეთის ნავთსადგურებში შესვლა გარდა ჰფრისა, დიუნკირხენისა და მარსელისა. ამასთანავე აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა უფლებას აძლევს საფრანგეთის გემებს, შევიდნენ ს. ს. რ. კ. ყველა ნავთსადგურებში. ამ აკრძალვას გაზეთი ჰხსნის საფრანგეთის მთავრობის სურვილით ხელი შეუშალოს საბჭოთა და საფრანგეთის მეზღვაურთა შორის კონტაქტის დამყარების შესაძლებლობას.

საფრანგეთში იზრდება ინტერესი საბჭოთა რუსეთისადმი. პარიზის პრესა მეტად დაინტერესებულია რუსეთის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლის—ლექსისის პარიზში ყოფნით.

**ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება**

**პარიზი.** იხილავს რა ელჩთა კონფერენციაზედ მიღწეულ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არ სთვლის, რომ ეს შეთანხმება დიდ ხანს გასტანს. „ეკო დე პარი“ ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთი მეტის მეტ დიდ დათმობებზედ წავიდა, ოღონდ კი არ დაშლილიყო ანტანტა.

**პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა**

**პარიზი.** საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ფროსარის ჯგუფთან შეერთების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების გამო, პოლ ფორი სოციალისტურს ორგანოში „პოპიულერ“-ში სწერს, რომ პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტებთან შეთანხმებით; ამავე დროს კი გაზეთი განაგრძობს ჩვეულებრივს კამპანიას კომპარტიის წინაამდეგ.

**საარჩევნო კომპანია ინგლისში**

**ლონდონი.** თუმცა ჯერ არ ყოფილა ოფიციალური ცნობა კანდიდატების არჩევნების შესახებ, მაგრამ უკვე შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ კონსერვატორებისაგან ამორჩეულია 529 კანდიდატი, ლიბერალებისაგან 450, მუშათა პარტიისაგან—412. კანდიდატთა რიცხვი 38 ქალია, უკანასკნელ არჩევნების დროს იყო 33 ქალი, ხოლო 1919 წ. 18. თემთა პალატაში იყო 3 ქალი. არჩევნების შედეგი გამოირკვევა 6—7 დეკემბერს.

**პორტუგალიის კომპარტიაში**

**პარიზი.** ლისაბონში გახსნილ პორტუგალიის კომუნისტურ პარტიის დამფუძნებელ კრებაზედ გამოცხადებულია 120 დელეგატი, უმეტესად სასოფლო მეურნეობის მუშათა და მცირე მიწაწყლიან გლეხთა წარმომადგენლები. კონგრესს მტკიცე იმედი აქვს, რომ კომპარტია გაიზრდება და დიდ გავლენას მოიპოვებს პროლეტარიატში, რომელმაც დაჰკარგა რეფორმისტების იმედი.

**ჩინეთის სამხედრო ხარჯები**

**პეკინი.** (ჩინეთი) შანხაის გაზეთ „სინკენკოუს“ ცნობით, ჩინეთის სამხედრო ხარჯები ჰნთქავს მთელ სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტის 80 პრც. ფული მუდამ მიდის უფროსთა ჯიბეში, რომელნიც მეტად მდიდრულად სცხოვრობენ მაშინ, როდესაც საბრალო ჯარის კაცებს მშივრებს აგზავნიან ფრონტზედ.

**ირლანდიის ციხეებში**

**ლონდონი.** ირლანდიის ციხეებში მოთავსებულ რესპუბლიკანელების სიმშილობა დამთავრდა პოლიტიკურ წრეებში სიმშილილობის დამთავრებას სთვლიან ირლანდიის მთავრობის გამარჯვებად

**პარლამენტის არჩევნები**

**ლონდონი.** ფიქრობენ, რომ ახალ პარლამენტში ყველაზე ძლიერი პარტია იქნება კონსერვატორთა პარტია თუმცა აბსოლიუტური უმრავლესობა კი არ ექნებათ. ლიბერალებს იმედი აქვთ გაძლიერდნენ მუშათა პარტიის ხარჯზედ, ფიქრობენ რომ მუშათა პარტიის კანდიდატების რიცხვი ნაკლები იქნება წინანდელზედ, შეიძლება მიაღწიონ 150.

**რუმინეთი.**

**ბერლინი.** რუმინეთის მთავრობამ განუცხადა საბერძნეთს, რომ, თუ საბერძნეთში გამოცხადდება რესპუბლიკა, რუმინეთს განზრახვა აქვს 24 საათში გააძეოს რუმინეთის ტერიტორიიდან იქ მყოფი ყველა ბერძნები.

**გემის დაღუპვა**

**ბერლინი.** მარსელის ნავთსადგურის ახლო აფეთქდა ინგლისის გემი „ოტტენბურგი“ დაიღუპა 5 კაცი.

**პოლონეთი**

**ბერლინი.** პოლონეთმა თავის წარმომადგენლის საშუალებით გერმანეთის მთავრობას წარუდგინა ბრალდება პოლონეთის ქვეშევრდომ ებრაელების შეურაცყოფის გამო, ბერლინში მომხდარ დარბევის დროს. პოლონეთის მთავრობა მოითხოვს ბერლინის პოლიციის პასუხისგებაში მიცემას და პოლონეთის ებრაელების მიერ ნახულ ზარალის ანაზღაურებას.

ამის გამო ბერლინის პრესა კითხავს პეგამს, აუნაზღაურა თუ არა პოლონეთმა ზარალი თავის ებრაელებს, რომელთაც თვით პოლონეთში განიცადეს რბევა და მისცა თუ არა პასუხისმგებლობაში მან ამ დარბევაში დამნაშავე მოხელენი.

**აზერბეიჯანი**

**ბაქო** 23 ნოემბერს გაიხსნა აზერბეიჯანის ცაკის მეოთხე სესია.

**ჯანღი.**

**ლონდონი.** უკანასკნელ 24 საათის განმავლობაში მთელი სამხრეთი ინგლისი საშინელმა ჯანღმა მოიცვა, რის გამოც შეჩერებულია ყოველ გვარი მოძრაობა.

# ახალი ამბები

— **ჰიდრო-ელექტრონის სადგური მდ. აბაშაზეა** ა | წ. 29 ნოემბერს მოხდება სენაკის მაზრაში, მდ. აბაშის ჩანჩქერებზე, დ. მარტვილის ახლოს, ჰიდრო ელექტრონის სადგურის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. ამავე დღეს გაიხსნება მარტვილში სახალხო სახლი, ამხ. ა. გეგეჭკორის სახელობაზე. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ კომპარტიის, კომკავშირის მარტვილის რაიონის წევრები, აგრეთვე მთელი რაიონის გლეხ-კაცობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და გლეხების წარმომადგენლები მაზრის ყოველი თემიდან.

ზეიმზე მოწვეულ არიან ტფილისიდან შემდეგი ამხანაგები: მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, ა. მიასნიკოვი, შ. ელიავა, ბ. ლომინაძე, ა. გეგეჭკორი და სხვები.

— **შრომის ბირჟის გამგის დანიშვნა.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ტფ. ცენტრალურ შრომის ბირჟის გამგეთ დაინიშნა ამხანაგი ლეინი.

— **ფოსტა ჰაეროპლანზე.** 29 ნოემბრამდე მთავარ საფოსტო ცენტრალურ განყოფილებაში მიიღება ყოველგვარი ამანათები და წერილები ჰაეროპლანით „იუკერსით“ სომხეთში გადასაგზავნათ.

— **შრომის ბირჟა.** 26 ნოემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა—10—უმუშევარი გაიგზავნა სამუშაოზედ—43.

— **ბავშების მიღება სკოლებში.** იმ ბავშთა დიდი რაოდენობის გამო, რომელნიც სკოლის გარეშე არიან დარჩენილი ტფილისში, სახალხო განათლების განყოფილებამ გასცა განკარგულება მათი მიღებისათვის შრომის სკოლებში საჭირო სკოლების გახსნამდე, რომელიც განზრახულია ახლო მომავალში.

— **ამხანაგობა „მწყესი“.** 25 ნოემბერს სოფ. მაჩხანში (სიღნაღის მაზრა) გაიხსნა მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყესი“-ს საერთო ყრილობა, ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოსულია 65 წარმომადგენელი.

— **სოფლის საბჭოების არჩევნები დასავლეთ საქართველოში.** 23 ნოემბრიდგან დაიწყო სოფლის საბჭოების არჩევნები დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არჩევნები ჩატარდა ახალ სენაკის, ძველი-სენაკის, ბანძის და ახალ აბაშის რაიონებში. სამაზრო საბჭოთა ყრილობები კი მოწვეულ—იქნება 30 ნოემბერს.

— **უფასო კონცერტები წითელ არმიელთათვის.** სახელმწ. კონსერვატორიის გამგეობამ დაადგინა: ქართულ დივიზიის ყველა ნაწილში მოაწყოს წითელ არმიელებისათვის უფასო კონცერტები.

— **ინვალიდების არტელების წარმომადგენლების კონფერენცია.** 25 ნოემბერს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარის ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით ტფილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს ინვალიდების არტელების წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციის მიზანი შექმნას საქართველოს ყველა ინვალიდების არტელების გამაერთიანებელი ცენტრი. კონფერენციამ მოსკოვიდან სრულიად რუსეთის ინვალიდებას არტელების გამაერთიანებელ ცენტრიდან 26 ნოემბერს მისასალმებელი დეპეშა მიიღო, თავის მხრით კონფერენციამ დადგენილება მიიღო მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს—სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს, კომისართა საბჭოს და სრულიად რუსეთის ინვალიდების არტელების გამაერთიანებელ ცენტრს.

— **დახმარება და პენსიები ომის და შრომის ინვალიდებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან ტფილისში პირველ ოქტომბრამდე დახმარება მიიღო ხუთას ოცდა შვიდმა შრომის და ომის ინვალიდებმა 7.298.050.000 მან. კომისარიატმა დახარჯა საინვალიდო სახლების შესანახათ (ამ სახლებშია მოთავსებული 216 ინვალიდი) 12.958 944.000 მან., სამგზავროთ შეღავათიანი ლიტერები მისცა — 291 ინვალიდს, ფულათ 662.621.000 მან., ერთდროული დახმარების სახით ინვალიდებს მიეცა 2.613.650.000 მან.

— **იძულებითი პროცენტულ ანგარიშების შეტანა.** ვინაიდან ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობის დროებითი მუშა-მოსამსახურენი დღემდის არ არიან დარღვეულნი, დამზღვევმა კასამ დაადგინა: წინადადება მიეცეს დანიშნულ დაწესებულებებს რომ კასაში შეტანილი იქნეს პროცენტული ანარიცხები.

— **მოხალისეთა ფლოტის მოსამსახურეთა დაზღვევა.** დამზღვევმა კასამ დაადგინა: მოხალისეთა ფლოტის მოსამსახურენი ჩარიცხულ იქნენ დამზღვევ კასის წევრებად 1 სექტემბრიდან.

**შემთხვევები**

— **სასტუმროს გაქურდვა.** 25 ნოემბერს დილის 11 საათზე პუშკინის ქ. № 4 გაქურდული იქმნა სასტუმრო „სასახლის ნომრები“ საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა საოჯახო ნივთები ღირებული 2350,000,000 მან.

— **ბინის გაქურდვა.** 28 ნოემბერს, სუფსარქის ქ. № 13-ში გაქურდული იქმნა მოქ. თამარ ?ლოიანის ბინა, საიდგანაც წაღებულია საოჯახო ნივთები ღირებული 3 მილიარდ მანეთამდე.

— **ბოროტ მოქმედების შეპყრობა.** 19 ნოემბერს შეპყრობილი იქნენ სვიმონ ჩაგელიშვილი და სანდრო მათიაშვილი რომლებსაც ბრალდებოდა მო აბრამ ნუკრაძის გაქურდვაში.

— **ქურდობა.** 24 ნოემბერს გაქურდულ იქმნა მოქ. სერგო ხაჩატუროვი საიდანაც წაღებულია ტანისამოსი. ღირებულობა გამოურკვეველია.

— **ქურდის შეპყრობა.** 23 ნოემბერს შეპყრობილი იქმნა მოქ. ალიბარა ისმაილოვი რომელსაც ბრალდებოდა სხვა და სხვა ქურდობა.

— **ვალიუტის კურსი.** 24 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | | 170.000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | | 165,000 „ |
| | ჩეკი. | 162,000 „ |
| დოლარი ფექ. | | 37,500 „ |
| | ჩეკი. | 35,00 „ |
| ოსმალური ლირა | | 17,500 „ |
| საბჭოთა ფული | | 14,000 „ |

# ხელოვნება

**ლეონარდ ზომმერის კონცერტი** (clavierabend).

მე არა ერთხელ მომიხდა სახელმწიფო კონსერვატორიის სალამოებზედ, ამავე კონსერვატორიის (პროფესორ ტრუსკოვსკის საფორტეპიანო კლასი). მოწაფის, ზომმერის მოსმენა და ყოველთვის მე აღვნიშნავდი ამ მოწაფის დიდ ნიჭსა და წარმატებას, რაც ხსენებულ ზომმერს, როგორც მასწავლებელთა, ისე მსმენელთა, საერთო აზრით, მოსწავლეთა პირველ რიგებში აყენებდა. ზომმერი სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ და ანცვიფრებს ყველას როგორც ნიჭით, ისე შრომის მოყვარეობით. ამ წლის წარმატება იყო მეტად ნაყოფიერი, რაც თვალსაჩინო გახდა გასულ გაზაფხულის გამოცდებზედ. შაბათს, 24 ნოემბერს ზომმერი გამოვიდა საკონცერტო ესტრადაზე საკუთარი clavierabend-ით.

მეტად სერიოზულმა და პასუხსაგებმა პროგრამამ და ნიჭიერ ახალგაზრდის პოპულიარობამ ტფილისის მუსიკალ ცხოვრებაში მეტად დიდი საზოგადოება მოიწვია ამ სალამოს.

პირველი განყოფილება კონცერტისა მიძღვნილი იყო კლასსიკ-ბახისა (ჩოკონნა—ბუზონის გადმოკეთებაში) და რომანტიკოს შუმანისადმი (სიმფონიური ეტიუდები). მთელი მეორე განყოფილება მიძღვნილი იყო ლისტის შემოქმედებისადმი.

ახალგაზრდა კონცერტანტმა ამ სალამოს მშვენიერი, მოწაფის ასრულების საზღვრებს გადაჭარბებული, ტეხნიკა, მუსიკალობა და თავისუფალი Sauché გამოიჩინა. მე არ ვამბობ, რომ ზომმერი სრულიად დამთავრებული პიანისტი იყოს, რომლისთვისაც საჭირო აღარ იყოს წინსვლა და გაუმჯობესება. ვსცნობ რა მის დიდ ნიჭს, მე მაინც ნებას მივსცემ ჩემ თავს გამოვსთქვა ჩემი აზრი კონცერტის პროგრამის შესრულების შესახებ.

ჩაკონნა ტეხნიკურის მხრით შესრულებულია მშვენივრად. ნაწარმოების უკანასკნელ ნაწილს ორგანოს ხასიათი აქვს (orgel musik) და ზომმერმა აქ მშვენიერი ტონი მოგვცა, ბგერის თანდათანობითი განვითარებით.

მაგრამ არ არის ყველგან და მუდამ დაცული ნაწარმოების კლასიკური სტილი—ამას ნაწილობრივად ხელს უშლიდა პიანისტის გატაცება და ხმის გაძლიერება.

შუმანის სიმფონიური ეტიუდები შესდგებიან თემისაგან და 12 ვარიაციისაგან ამ თემაზედ. ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია მსოფლიოს საფორტეპიანო ლიტერატურისა. მე არ ვეთანხმები მე-2 ვარიაციის შესრულებას, სადაც მეტად ჩქარი ტემპი იყო აღებული, მე 6 აკლდა მელოდიის სიცხადე და მე 2 ვარიაციას-ინტუიცია.

მშვენივრად იყო შესრულებული მოცარტის რეკვიემის ნაწყვეტი, ლისტის საკრავთწყობაში, აქ დაცულია ნაწარმოების სტილი და შესრულებაც მეტად მუსიკალ ია.

შესანიშნავი „Mephisto Valse“-ში ლ. ზომერმა გაიოიჩინა დიდი ტეხნიკა და მთელი ნაწარმოები მშვენივრად იყო შესრულებული. მან შესძლო გამოეყო უმთავრესი თემები—მარგარიტასი, ფაუსტისა და მეფისტოფელისა და მოეცა ამ თემის სწორე დახასიათება (შინაარსი ამ ნაწარმოებისა აღებულია ლენაუს პოემა „ფაუსტიდან“.

ლისტის ორივე ეტიუდი—Des-duz Campauella კარგად იყო შესრულებული. ამ უკანასკნელის შესრულებაში პიანისტმა მშვენიერი Siaccato გამოიჩინა, მხოლოდ პედალის ხმარება სასურველია უფრო დამთავრებული იყოს. (განსაკუთრებით ამ ეტიუდის უკანასკნელ პერიოდში).

საერთოდ აღსანიშნავია ამ ახალგაზრდა კონცერტანტის დიდი წარმატება.

პ. ბებუთიშვილი.

—

**ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი გამოცემანი:

თ. კიკვაძე, გ. ჭუმბურიძე. „მეგობარი“. შრომის სკოლის მესამე განყოფილების კურსი. ტფილისი 1923 წ. ფასი ჩერვონ. ერთი მან.

ყოველთვიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, ს. ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის ორგანო „მომავალი“ № 11 საიუბილეო). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწინავე. „მომავალი“ ორი წლის თავი! ვ. გოგეშვილი. „ბრძოლისა და გამარჯვების ექვსი წელი“. ალიო მამაშვილი „მომავალს!“ (ექსპრომტად). სანდრო ეული. „სალამი“ (ლექსი) სანდრო „მილოცვა ჩვენ მზეს“ (აკროსტიხი). ლექსები და პოემები ალიკო მაშაშვილის. კაკი ეწრელის, ლისაშვილის ო. ბრიკის ვ. ლუარსამიძე: „ხელოვნების კრიზისი“. ლ. ტროცკი: „პროლეტარული კულტურა და პროლეტარული ხელოვნება“. პ. ქიქოძე: „დადაიზმი“. შალვა რადიანი. „ფურცლები პროლეტალურ პოეზიიდან“. იროდიონ ხანთაძე „როზა ლიუქსემბურგის იმპერიალიზმის თეორია და მისი კრიტიკა“. ვ. ხავთასი: „აზროვნება და პროლეტარული გარდაქმნა“.

კ-სოლი: „ფილოსოფიურ პრობლემათა ისტორიული ფენომენოლოგია“.

„ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი, როგორც მსოფლიო ორგანიზაცია“ და სხვა.

—

**სახალხო სახლი.** პარასკევს 30 ნოემბერს მეორედ ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის ცნობილი პიესა „მეფის დალაქი“.

—

**რუსული დრამა.** დღეს, 28 ნოემბერს, სახალხო სახლში რუსული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება ნიკოლოზ 1-ლი. (დეკაბრისტები) ისტორიული პიესა 4 მოქმედ. და 9 სურათად. ნ ლერნერისა. დასდგამს ნ. შესტოვი. (სალამო იმართება სტუდენტთა სასარგებლოდ). მზადდება წარმოსადგენად „შემთხვევის გენიოსი“ მავრიტანულ მელოდრამა ვ. კამენსკისა. „გმირი“ პიესა ჯონსინ-ისა. „კანონი“ ვინიჩენკოსი, და სხვა.

—

**სომხური დრამა.** რუსთაველის თეატრში დღეს 28 ნოემბერს სომხურ აკადემიურ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება გუცკოვის ცნობილი ტრაღედია „ურიელ აკოსტა“ 5 მოქ. დასდგამს რეჟისორი ბურჯალოვი.

—

**ძმ. ტენტების ცირკი.** დღეს გრანდიოზული წარმოდგენა 3 დიდს განყოფილებად. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მსახიობნი და ხუმარანი „ტინგლი-ტანგლი“. „აფრიკელი მოჯირითე“ მარგო კუკი. ძმ. ალფონსო, სიცილის პროფესორები. უშიშა პოსპელოვი. „ფილისტიმელების ოჯახი“ ოთხი გლორიო, დასასრულს გაიმართება შესანიშნავი კაბარე შარჟი. მოსკოვის ტრაქტირი. ლე-ტანტის დასდგამს და მონაწილეობას მიიღებს ავტორი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა სოფიო აპეტ ნერსესოვის ასულმა—ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 465.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 857 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.